გრასის
დეზინფორმაციის
ბრიფი

მონიტორინგის პერიოდი:

24-30 ოქტომბერი

GRASS
REFORMANDA

- ევროპული კომისიის მიერ საქართველოს კანდიდატის სტატუსის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თარიღის მოახლოებასთან ერთად საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება ევროკომისიის პრეზიდენტს მიმართავს;
- „კუდიანებზე ნადირობა“ ბოლო წუთს: საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების გადაწყვეტილებამდე ერთი კვირით ადრე;
- „ქართულმა ოცნებამ“ იერიში სალომე ზურაბიშვილზე მიიტანა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი ოპოზიციის ლიდერებს შეხვდა;
- „ქართული ოცნება“ განაგრძობს დასავლელი დონორი ორგანიზაციების კრიტიკას ექსტრემიზმისა და არჩევნებში ჩარევის საფუძველზე;
- „ანტი-მაიდანის“ მოძრაობის მიერ რეგიონებში საჯარო შეხვედრების ჩატარების პარალელურად, პროპაგანდა ირწმუნება, რომ დასავლეთი და ოპოზიცია სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავენ;
- პრორუსული პროპაგანდა კვლავდაკვლავ იმეორებს, რომ „3+3“ პლატფორმა და რუსეთთან ახლო კავშირები უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარანტია;
- პროპაგანდა უკრაინის პრეზიდენტის რეპუტაციის შელახვას ცდილობს; ამბობს, რომ დასავლეთმა უკრაინა მიატოვა.

ევროპული კომისიის მიერ საქართველოს კანდიდატის სტატუსის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თარიღის მოახლოებასთან ერთად საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება ევროკომისიის პრეზიდენტს მიმართავს.

ევროკომისიის გაფართოების ანგარიშში საქართველოს პროგრესის შეფასების მოახლოებასთან ერთად, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებამ ევროპული კომისიის პრეზიდენტს, ურსულა ფონ დერ ლეიენს მიმართა. ოფიციალური წერილი ქვეყნის კომპლექსურ გეოპოლიტიკურ მდგომარეობას უსვამს ხაზს, ამასთანავე, აღნიშნავს, რომ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება უსაფრთხოების განმტკიცებისთვის მნიშვნელოვანი იქნება და მას საშუალებას მისცემს, მეტი ძალისხმევა გასწიოს დემოკრატიული რეფორმების განსახორციელებლად. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები გამოთქვამენ იმედს, რომ ევროპული კომისია საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების რეკომენდაციას გასცემს, რადგან ეს გადაწყვეტილება იქნება საქართველოს ისტორიული არჩევანის აღსრულებაში კიდევ ერთი ეტაპი, შეასრულებს კატალიზატორის როლს დემოკრატიული რეფორმების გაგრძელებასა და ინსტიტუტების გაძლიერებაში და განამტკიცებს როგორც საქართველოს, ასევე ევროპის უსაფრთხოებას.

„კუდიანებზე ნადირობა“ ბოლო წუთს: საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების გადაწყვეტილებამდე ერთი კვირით ადრე.

„ქართული ოცნება“ და მოძრაობა „ხალხის ძალა“ ერთიანი ოპოზიციის დისკრედიტაციისთვის რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარისა და ოპოზიციონერი დეპუტატის, ხათუნა სამნიძის განცხადებით ხელმძღვანელობენ და აცხადებენ, რომ ოპოზიცია ერთიანი ძალებით ებრძვის ქვეყნის ინტერესებს. სამნიძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემაში ვიზიტისას ოპოზიციის წარმომადგენელ კოლეგებს მოუწოდა, შეწყვიტონ საქართველოს კანდიდატის სტატუსის მიღების დამაზიანებელი გზავნილების გავრცელება. მისი თქმით, ევროპელი პარტნიორებისთვის ოპოზიციის გზავნილები არათანმიმდევრული და გაურკვეველი იყო. „ჩვენი ევროპელი პარტნიორები გვეუბნებიან, რომ თქვენგან გზავნილები არ არის ერთმნიშვნელოვანი, ერთიანიო. ეს არის პრობლემა. „ქართული ოცნება“, რომელიც ამ პროცესში მთლიანად მავნებლობს და ოპოზიციის ნაწილი, რომელიც თვლის, რომ თურმე უნდა გადავადდეს გადაწყვეტილების მიღება და არჩევნების შემდეგ უნდა მოხდეს. ოპოზიციაში, ვისაც ასეთ პოზიცია აქვს, თვლის, რომ საქართველომ არ უნდა მიიღოს კანდიდატის სტატუსი, საჯაროდ გამოვიდნენ და თქვან. ეს არ არის გამოსავალი. ბიძინა ივანიშვილი უფრო ძლიერი იქნება თავის ანტიდასავლურ გზავნილებში, თუ ამ ქვეყანას არ ექნება სტატუსი,” - განაცხადა სამნიძემ.

ოპოზიციის ზოგიერთმა დეპუტატმა ხაზი გაუსვა, რომ შესაბამის პარტიებს ევროპელ პარტნიორებთან საუბრის დროს არასოდეს უხელმძღვანელიათ მსგავსი გზავნილებით, ხოლო მეორე ნაწილმა დაადასტურა, რომ ოპოზიციისგან მომავალი არაერთგვაროვანი გზავნილები პარტნიორებში ნამდვილად იწვევდა შეშფოთებას. აგრეთვე, ზოგიერთი მათგანი აცხადებდა, რომ ოპოზიციას არ ჰქონდა ძალაუფლება, შეეცვალა ევროკომისიის გადაწყვეტილება, რამდენიმე ოპოზიციონერმა დეპუტატმა კი სამნიძე „ქართული ოცნების“ ინტერესების გატარებაშიც დაადანაშაულა.

- საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გაიმეორა, რომ მთავრობამ არც ისე დიდი ხნის წინ გააფრთხილა საზოგადოება ოპოზიციის შემაფერხებელი, დესტრუქციული ქმედებების შესახებ, რადგან ოპოზიცია აშკარად ცდილობდა, საქართველოს არ მიეღო კანდიდატის სტატუსი. პრემიერმა ოპოზიციას მოღალატეები უწოდა და აღნიშნა, რომ მათ არ სურთ ქვეყნის პროგრესი „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში. ღარიბაშვილმა სასიხარულო უწოდა იმ ფაქტს, რომ თავად აღიარეს სამარცხვინო ქმედება და ამასთან, საზოგადოებაც დაამშვიდა, რომ შიდა და გარე მტრების მიუხედავად ქვეყანა მაინც მიიღებდა კანდიდატის სტატუსს.
- „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის განცხადებით, ოპოზიციის წარმომადგენლებს აღსარების დღე ჰქონდათ. სამნიძემ აღიარა ის, რასაც მმართველი პარტია დიდი ხნის განმავლობაში ამტკიცებდა, რომ ოპოზიცია კანდიდატის სტატუსის წინააღმდეგ ლობირებს. კობახიძემ განაცხადა, რომ კონკრეტული სუბიექტები, რომლებზეც სამნიძე საუბრობდა, წარმოადგენენ „ნაციონალურ მოძრაობას“, „ლელოსა“ და გვარამიას, „მთავარი არხის“ დირექტორს. „ჩვენ ზუსტად ვიცით, რომ ეს სუბიექტები დადიოდნენ ევროპაში

და არა მარტო ევროპაში, ლობირებდნენ კანდიდატის სტატუსის წინააღმდეგ“, თქვა კობახიძემ. თავმჯდომარის განცხადების თანახმად, რადიკალური ოპოზიციის მიერ საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ ლობირება მოსალოდნელი იყო. მიუხედავად ამისა, მმართველი პარტია იმედოვნებს, რომ ევროკომისია ნოემბერში საქართველოსთვის სასარგებლო გადაწყვეტილებას მიიღებს და წინა წლის შეცდომას არ გაიმეორებს.

- პარლამენტის თავმჯდომარე, შალვა პაპუაშვილი ირწმუნებოდა, რომ შარშან საქართველომ კანდიდატის სტატუსი სწორედ ხათუნა სამნიძისა და მისი თანამოაზრეების მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების წინააღმდეგ აქტიური ლობირების გამო ვერ მიიღო. პაპუაშვილის შეფასებით, ოპოზიცია ორ ჯგუფად იყოფა: ერთი, რომელიც აქტიურად იბრძვის საქართველოს კანდიდატის სტატუსის წინააღმდეგ და მეორე, რომელიც აღიქვამს ამ უკანასკნელი სტრატეგიის მოსალოდნელ მარცხს და უკვე ცდილობს, ეს გემი დატოვოს. ამასთან, თავად სამნიძეც ამ გემზე იმყოფებოდა და საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებდა, თუმცა ახლა უკვე დაინახა, რომ ეს გემი იძირება.
- „ქართული ოცნების“ გენერალური მდივნისა და თბილისის მერის, კახა კალაძის განცხადების თანახმად, მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა სამნიძის განცხადება. მან სამწუხარო რეალობა უწოდა იმ ფაქტს, რომ ოპოზიცია მსგავს პროცესებში უკვე დიდი ხანია ჩართულია და ლობირებდა ევროკავშირისა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების, ვიზალიბერალიზაციისა და ახლა უკვე კანდიდატის სტატუსის წინააღმდეგაც. კალაძის თქმით, უცხოელი პარტნიორებისგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, გიორგი ვაშაძე, „ლელო“ და ნიკა გვარამია საქართველოს კანდიდატის სტატუსის წინააღმდეგ ლობირებენ.
- პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი გიორგი ვოლსკი ამტკიცებდა, რომ არა სამნიძის განცხადება, არამედ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ გააფთრებული მებრძოლის მიერ უკვე ცნობილი ქმედების აღიარება იყო სკანდალური. მმართველმა პარტიამ უკვე იცოდა, რომ ოპოზიციის გარკვეული წარმომადგენლები ბრიუსელსა და ევროპის ქვეყნების დედაქალაქებში დეზინფორმაციას ავრცელებდნენ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ეხმარებოდა საქართველო რუსეთს სანქციებისგან თავის არიდებაში. ვოლსკის შეფასებით, სამნიძის განცხადება ადასტურებდა ოპოზიციის ერთ დიდ რევოლუციურ კომიტეტად ჩამოყალიბებას, რომელიც საქართველოს მიერ კანდიდატის სტატუსის მიღებისთვის ხელის შეშლასა და შედეგად, რევოლუციის დაწყებას გეგმავდა.
- მოძრაობა „ხალხის ძალამ“ გამოაქვეყნა განცხადება, რომლის მიხედვითაც სამნიძის აღიარება აგრეთვე ადასტურებდა ევროკავშირის მიერ 2021 და 2022 წლებში კრიზისების ხელოვნურად წამოწყებას. მოძრაობამ განაცხადა, რომ





ევროკავშირმა ოპოზიციის საპარლამენტო საბოტაჟი შეაფასა, როგორც პოლიტიკური კრიზისი და ხელისუფლებას აიძულა, 19 აპრილის უსამართლო ხელშეკრულებაზე ხელი მოეწერა. 2021 წლის გეგმის ჩავარდნის შემდგომ, ევროკავშირმა კრიზისის თავიდან გაღვივება 2022 წელს სცადა, როდესაც უკრაინასა და დსთ-ს წევრ მოლდოვას კანდიდატის სტატუსი მიანიჭა, საქართველოს კი არა, რითაც საქართველოში ხელოვნურად გაამწვავა პოლარიზაცია და რადიკალიზმი, თუმცა ეს გეგმაც აგრეთვე წარუმატებელი აღმოჩნდა. განცხადება რიტორიკული შეკითხვით სრულდება: რატომ ქმნის ევროკავშირი ხელოვნურ კრიზისს, რათა არაკომპეტენტური, ამორალური და ცრუპატრიოტი პოლიტიკოსები დააბრუნოს ხელისუფლებაში? „დარწმუნებული ვართ, რომ ეს ყველაფერი ქართველი ხალხის მიმართ კეთილი განზრახვით არ კეთდება," - აღნიშნულია განცხადებაში.

„ქართული ოცნება" განაგრძობს დასავლელი დონორი ორგანიზაციების კრიტიკას ექსტრემიზმისა და არჩევნებში ჩარევის საფუძველზე.

- პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი კვლავ აკრიტიკებდა USAID-ს და იმედგაცრუებას გამოხატავდა სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) მიერ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ფარგლებში გამოქვეყნებული პარალელური დათვლის შედეგების არასრულფასოვანი განმარტების გამო. აღნიშნულ შეფასებაში თავდაპირველად პარალელური დათვლისა და ოფიციალური შედეგების შეუსაბამობა იყო დაფიქსირებული, თუმცა მოგვიანებით, ISFED-ის განმარტებით, აღნიშნული უზუსტობა ტექნიკური ხარვეზის ბრალი იყო. პაპუაშვილი ხშირად აკრიტიკებს ISFED-სა და USAID-ს და, ამასთანავე, მიანიშნებს USAID-ის სავარაუდო ჩართულობაზე საქართველოს არჩევნებში. ის ასევე ეჭვის ქვეშ აყენებს USAID-ის მიერ დაფინანსებულ ტრენინგს და მას რადიკალური აქტივისტების გაძლიერებაში ადანაშაულებს. პაპუაშვილმა გააკრიტიკა ევროპის დემოკრატიის ფონდიც პოლიტიკური პარტია „დროასა" და მოძრობა „სირცხვილიას" დაფინანსების გამო, რომლებიც 7-8 მარტის „რადიკალურ პროტესტში" იყვნენ ჩართულნი. პაპუაშვილმა იმედგაცრუება გამოთქვა და აღნიშნა, რომ „ერთი მხრივ, ევროკავშირი მოუწოდებს საქართველოს დეპოლარიზაციისკენ და მეორე მხრივ, ევროკავშირის ფული საქართველოში იხარჯება ექსტრემიზმის წახალისებაში."
- „როდესაც ვიღაც რევოლუციის თემის აქტუალიზაციას ახდენს და მით უმეტეს, ეს უცხოური დაფინანსებით ხდება, ბუნებრივია, შემაშფოთებელია და ყველას მოვუწოდებ - დაასვენონ ეს ქვეყანა", - განმარტა ირაკლი კობახიძემ, როდესაც ჟურნალისტებს „ინდიგოსა" და ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ ორგანიზებულ დისკუსიასთან „პროტესტი და წინააღმდეგობა საქართველოში" დასმულ კითხვაზე პასუხობდა. კობახიძის თქმით, საზოგადოებას მშვიდობა სურს და თუ გარკვეულ დაჯგუფებებს არეულობის წამოწყება და „მეორე ფრონტი" სურთ, სათანადო პასუხს მიიღებენ. კობახიძე გამოეხმაურა გარკვეული ორგანიზაციების

მიერ სამოქალაქო აქტივისტების ჯარიმების გადასახდელად ფონდის დაფუძნების ფაქტსაც და აღნიშნული მოვლენა შეაფასა, როგორც მტკიცებულება, თუ როგორ უჭერენ მხარს კონკრეტული დონორი ორგანიზაციები რევოლუციურ პროცესებს.

- როდესაც ჟურნალისტებმა ირაკლი კობახიძეს ჰკითხეს, თუ რას ფიქრობდა აშშ-ს სადაზვერვო სამსახურის გამოქვეყნებულ განცხადებაზე, რომლის თანახმადაც რუსეთი დემოკრატიულ არჩევნებში ჩარევას ცდილობდა, მან „ყველა ქვეყანას“ მოუწოდა, არ ჩარეულიყვნენ საქართველოს არჩევნებში. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტებმა კობახიძეს რუსეთის ქმედების განმარტება სთხოვეს, ამ უკანასკნელმა 2020 წლის არჩევნებში USAID-ის მიერ დაფინანსებული პარალელური ხმის დათვლის „გაყალბება“ გაიხსენა.

„ქართულმა ოცნებამ“ იერიში სალომე ზურაბიშვილზე მიიტანა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი ოპოზიციის ლიდერებს შეხვდა.

24 ოქტომბერს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ოპოზიციის ქალ ლიდერებს შეხვდა, მათ შორის ანი წითლიძეს („ერთიანი ნაციონალური მოძრობა“), ხატია დეკანოიძეს („ევროოპტიმისტები“), ხათუნა სამნიძეს („რესპუბლიკური პარტია“), ანა ნაცვლიშვილსა და სალომე სამადაშვილს („ლელო“). დეპუტატების თქმით, დისკუსია ძირითადად ევროპული სტატუსსა და მმართველი პარტიის მიერ წამოწყებულ იმპიჩმენტის პროცესს შეეხო. დეპუტატებმა ხაზი გაუსვეს იმასაც, რომ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილზე გავლენას არ ახდენდა მმართველი პარტიის მუქარები და ქმედებები, რადგან ის აპირებს, საკუთარი პოლიტიკური ნაბიჯებით განაგრძოს ქვეყნის ევროპული სტატუსის დაცვა.

- პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ზურაბიშვილისა და ოპოზიციის კოლაბორაცია იმ ფაქტს მიაწერა, რომ საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის მიუხედავად, მას მაინც სურს, პოლიტიკაში დარჩეს. მან ასევე ხაზი გაუსვა ოპოზიციის პოზიტიურ მოლოდინებს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით და მცდელობას, აღნიშნულ მიღწევაში მმართველი პარტიის როლი დააკნინონ, რადგან „კანდიდატის სტატუსი ხალხმა უნდა მიიღოს“. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მმართველმა პარტიამ წარმატებით მოაწერა ხელი ასოცირების შეთანხმებას, მიიღო უვიზო რეჟიმი და დასახა ევროპული პერსპექტივა. შესაბამისად, ქვეყნის მიერ სტატუსის მიღება სწორედ „ქართული ოცნების“, ხელისუფლების მიღწევების შედეგი იქნებოდა.
- „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის განცხადებით, აღნიშნულ შეხვედრას წინ უძღოდა ახალი პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბების განზრახვა, რომელიც გააერთიანებს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს, საქართველოს ყოფილ ომბუდსმენ ნინო ლომჯარიასა და ყოფილ




პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას. კობახიძემ ოპოზიციის ქალი ლიდერები, რომლებიც პრეზიდენტს შეხვდნენ, „კოლექტიური ნაცმოძრაობის“ ტერმინის ქვეშ გააერთიანა და გამოთქვა მოსაზრება, რომ მსგავს პოლიტიკურ პარტიებსა და ალიანსებს პერსპექტივა არ აქვთ.

- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილის განმარტებით, პრეზიდენტის ბოლოდროინდელი ქმედებები მიუთითებდა მის კოლაბორაციაზე ყოფილ სახალხო დამცველთან, ნინო ლომჯარიასთან, რომელთან ერთადაც ის რადიკალური ოპოზიციის დღის წესრიგს ატარებდა. საქართველოს კანდიდატის სტატუსზე საუბრისას, პაპუაშვილი ირწმუნებოდა, რომ საგარეო საკითხებში მთავრობა წარმოადგენდა ქართველ ხალხს და არა - პრეზიდენტი. შესაბამისად, სწორედ მთავრობა, და არა პრეზიდენტი, უზრუნველყოფს, რომ ქვეყანას კანდიდატის სტატუსი მიენიჭოს. პაპუაშვილმა, აგრეთვე, საქართველოს კონსტიტუციის მიმართ უპატივცემულობაში დაადანაშაულა ყველა, ვინც აღნიშნული განცხადების საპირისპირო მოსაზრებას გაავრცელებდა.

„ანტი-მაიდანის“ მოძრაობის მიერ რეგიონებში საჯარო შეხვედრების ჩატარების პარალელურად, პროპაგანდა ირწმუნება, რომ დასავლეთი და ოპოზიცია სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავენ.

საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის მიერ სექტემბერში გაკეთებული განცხადების შემდგომ, რომლის თანახმადაც საქართველოში გარკვეული დაჯგუფება მაიდანის მსგავს რევოლუციას გეგმავდა, პრორუსული აქტორების პროპაგანდა გაძლიერდა. აღნიშნულის საპასუხოდ, კონსერვატიულმა მოძრაობამ „ალტ-ინფომ“ დააანონსა „ანტიმაიდნის“ მოძრაობა, რომლითაც ისინი შეძლებდნენ, გამკლავებოდნენ „დასავლეთის მიერ დასპონსორებულ მაიდანის მსგავს რევოლუციას საქართველოში“. მოძრაობა აქტიურად ცდილობს ახალი წევრების შემოერთებას, მობილიზებასა და მათგან დაფინანსების მიღებას, რათა უზრუნველყონ მზადყოფნა 7-8 მარტის მსგავსი პროდასავლური აქციების განმეორების შემთხვევაში. მიზნის მისაღწევად, მოძრაობამ მოხალისეებისთვის შექმნა 24-საათიანი ცხელი ხაზი და, ასევე, აქტიურად ატარებს საჯარო შეხვედრებს რეგიონების მასშტაბით. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის მოთხოვნის შემდეგ, პოლიციამ მოძრაობის აქტივობების გამოძიება დაიწყო და „ანტიმაიდნის“ ერთ-ერთი ლიდერი დაკითხა. მიუხედავად ამისა, მოძრაობა კვლავ აქტიურად, შეფერხებების გარეშე განაგრძობს საქმიანობას. ევროკომისიის მიერ საქართველოს კანდიდატის სტატუსის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თარიღის მოახლოებასთან ერთად, პროპაგანდისტები უფრო აქტიურად ცდილობენ ევროკავშირის, აშშ-სა და პროდასავლური დაჯგუფებების მოღალატეებად წარმოჩენას.

- ბუნებრივად, პროპაგანდისტების მთავარი სამიზნე ევროკავშირია, რადგან, ნარატივის თანახმად, მაიდნის მსგავსი რევოლუცია სწორედ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ევროკავშირი საქართველოს კანდიდატის სტატუსს არ მიანიჭებს. „ალტ-ინფოს“ ერთ-ერთი პროპაგანდისტი მოსახლეობას სიფხიზლისკენ

მოუწოდებდა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი უკრაინასა და ისრაელში მიმდინარე მოვლენებით იყო დაკავებული, მაიდნის მსგავსი სცენარი კვლავ იგეგმებოდა. ასევე, მისი თქმით, ევროკავშირი გამიზნულად არ მიანიჭებს საქართველოს კანდიდატის სტატუსს, რათა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები გაამწვავოს, მოახდინოს მოლოტოვის კოქტეილებით აღჭურვილი პროდასავლური აქტივისების მობილიზება და აშშ-ს ელჩის მხარდაჭერით, მთავარი ქუჩები დაიკავოს. პროპაგანდისტმა უცხოური აგენტების კანონის მოვლენები გაიხსენა და განაცხადა, რომ პროტესტი დასავლეთის მიერ იყო ორგანიზებული, აქტივისტებს მოლოტოვის კოქტეილებიც სწორედ მათ გადასცეს და უბრძანეს, პარლამენტი აეღოთ.

- „ალტ-ინფოს“ მორიგმა პროპაგანდისტმა გადაცემაში ევროკავშირის მიერ შარშან უკრაინისა და მოლდოვისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების, საქართველოსთვის კი უარის თქმის სავარაუდო მიზეზები განიხილა. მისი გადმოსახედიდან, საქართველოში მოქმედი პროდასავლური დაჯგუფებების გავლენა დასავლეთმა შეაფასა, როგორც არასაკმარისი და ქვეყანას კანდიდატის სტატუსიც სწორედ იმის გამო არ მიანიჭეს, რომ ზემოხსენებულ დაჯგუფებებს გაძლიერებისა და აქციებისთვის მომზადების დრო ჰქონოდათ. ევროკავშირის გადაწყვეტილება აღნიშნული დაჯგუფებების გავლენის წარმატებულად გაზრდას დაეყრდნობა და არა საქართველოს მიერ პრიორიტეტების შესრულებას ან დემოკრატიის ხარისხს.
- „ალტ-ინფოსა“ და „ანტიმაიდნის“ მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა კონსტანტინე მორგოშიამ განაცხადა, რომ ოპოზიციამ უკრაინიდან, ბელარუსიდან და რუსეთიდან აქტივისტები ჩამოიყვანა. მისი თქმით, აშშ-ს საელჩოს მიერ შემუშავებული გეგმა ადამიანურ დანაკარგსაც ითვალისწინებს, რაც უფრო გაამწვავებს აქციებს. მორგოშია „ანტიმაიდნის“ მოძრაობის მიერ რეგიონებში გამართული საჯარო შეხვედრების ერთ-ერთი წამყვანია და ამტკიცებს, რომ მოსახლეობა სამართლიანად დარდობს საქართველოში მოსალოდნელი მაიდნის მსგავსი რევოლუციის შესახებ და, ამასთანავე, მხარს უჭერს რუსეთთან მეგობრული ურთიერთობების დამყარებას.
- შოთა მარტინენკოს, „ალტ-ინფოსა“ და „ანტიმაიდნის“ მოძრაობის მორიგი ლიდერის თქმით, მოძრაობის შექმნა აუცილებელი გახდა, რადგან „ალტ-ინფო“ და „კონსერვატიული მოძრაობა“ ვეღარ ახერხებდნენ კოლექტიურ დასავლეთთან დამოუკიდებლად გამკლავებას, თუმცა სამომავლო საშიშროებების თავიდან ასარიდებლად სჭირდებოდათ, ხმა მიეწვდინათ მოსახლეობისთვის.
- პროპაგანდისტულმა წყარომ ხაზი გაუსვა „რადიკალური ოპოზიციის“ გეგმებს, გადაეგდოთ მთავრობა, ქვეყნის სადავეები ხელში ჩაეგდოთ და მეორე ფრონტი გაეხსნათ. პროპაგანდა მოქალაქეებს მოუწოდებდა, არ ყოფილიყვნენ





უმოქმედონი და, პირიქით, აქტიურად მომზადებულიყვნენ ქვეყნის პოტენციურ საფრთხეებთან საბრძოლველად.

- „ალტ-ინფოს“ გადაცემის სტუმარი USAID-ის მიერ დაფინანსებულ ტრენინგს გამოეხმაურა, რომლის ფარგლებშიც, სუს-ის მტკიცებით, ახალგაზრდა აქტივისტებმა რევოლუციის წამოწყება ისწავლეს. სტუმარმა USAID-ის მიერ დაფინანსებული ტრენინგი სამომავლო რადიკალური და ძალადობრივი ქმედებების რეპეტიციად შეაფასა, რომლებიც ქვეყანაში განხეთქილებას გამოიწვევდა.
- 26 ოქტომბერს USAID-მა საქართველოში ახალი პროექტის დაწყება დააანონსა, რომელიც განათლების სისტემას 14 მილიონი აშშ დოლარით დააფინანსებს. პროპაგანდისტები სოციალურ მედიაში ირწმუნებოდნენ, რომ აღნიშნული პროექტით აშშ ქართველი ხალხის ტვინის გამორეცხვასა და სახელმწიფო გადატრიალების დაფინანსების გადამალვას ცდილობდა. „მეგობრული ვერასოდეს იქნება ის ორგანიზაცია, რომელიც ქვეყანაში კანვასს აფინანსებს და მაიდანს მხარს უჭერს“, - წერს ერთ-ერთი ცნობილი პროსახელისუფლებო სოციალური მედიის ანგარიში.
- „ალტ-ინფოს“ მორიგმა პროპაგანდისტმა სუს-ის განცხადება გაიხსენა, რომელიც, პრორუსული პროპაგანდის თანახმად, ადასტურებს, რომ გარკვეული ჯგუფები სახელმწიფო გადატრიალების დაწყებას აპირებდნენ. პროპაგანდა ხალხს მოუწოდებს, თავადვე დაიცვან საქართველო, რადგან პოლიცია, გარკვეული მიზეზების გამო, არ აკავებდნენ რევოლუციის ორგანიზატორ დამნაშავეებს.

პრორუსული პროპაგანდა კვლავდაკვლავ იმეორებს, რომ „3+3“ პლატფორმა და რუსეთთან ახლო კავშირები უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარანტია.

23 ოქტომბერს რუსეთის, თურქეთის, ირანის, სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრებმა თეირანში „3+3“ ფორმატის ფარგლებში შეხვედრა გამართეს. მიუხედავად იმისა, რომ ფორმატი საქართველოს ჩართულობასაც მოიაზრებდა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ქვეყანა აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობას კვლავ არ მიიღებდა. „3+3” პლატფორმის ერთობლივი კომუნიკე საქართველოს ჩართულობისთვის მზაობას გამოხატავდა და „ხაზს უსვამდა უთანხმოებათა მშვიდობიანი მოგვარების მნიშვნელობას, სუვერენიტეტის პატივისცემას, პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას, საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ხელშეუხებლობას, შინაგან საქმეთა ხელშეუხებლობას, ძალის გამოყენებისა და მუქარის აკრძალვასა და ადამიანის უფლებების პატივისცემას, გაეროს ქარტიის პრინციპებზე დაყრდნობით“.

- რუსეთის მიერ საქართველოს სუვერენული ტერიტორიების ოკუპაციის, „მცოცავი ოკუპაციისა“ და საქართველოს მოქალაქეების გატაცების მიუხედავად, პრორუსული პროპაგანდისტები საკმარის საბუთად აღიქვამენ ერთობლივ კომუნიკეში ხაზგასმული „სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების პატივისცემის“ პირობას და

ირწმუნებიან, რომ თუ საქართველო „3+3“ პლატფორმას შეუერთდება, რუსეთი იურიდიულად აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ხოლო რეგიონული ძალაუფლება საქართველოს უსაფრთხოებას განამტკიცებს, რათა მნიშვნელოვანი რეგიონული ინფრასტრუქტურის პროექტები დაიცვას. პროპაგანდის თანახმად, დასავლეთისგან ზეწოლის შიში ერთადერთი მიზეზია, რის გამოც საქართველო უარს აცხადებს პლატფორმაში მონაწილეობაზე.

- პრორუსული „სეზონი ტვ-ს“ წამყვანი ნიკოლოზ მჟავანაძე აგრეთვე ამტკიცებდა, რომ საქართველოს ფორმატში მონაწილეობას დასავლეთი უკრძალავს. მისი თქმით, საქართველოს ერთადერთი შანსი, აღიდგინოს ტერიტორიული მთლიანობა, რუსეთთან ახლო ურთიერთობების განმტკიცება იყო რადგან, მიუხედავად ზოგიერთი წყაროს მტკიცებისა, რომ რუსეთი სუსტდება და საქართველო შემდეგ შეძლებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე კონტროლის დაბრუნებას, რუსეთი, პირიქით, ძლიერდება. ამასთანავე, რუსეთის მოწინააღმდეგე ნებისმიერი ქვეყანა ტერიტორიებს კარგავს, როგორც უკრაინა და სომხეთი, ხოლო აზერბაიჯანი, რომელიც რუსეთთან თანამშრომლობს, ტერიტორიებს იღებს. უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობისა და ეკონომიკური კეთილდღეობის მიმართულებით, საქართველოს ერთადერთი მხსნელი რუსეთია.
- პრორუსული სოციალური მედიის ანგარიშმა გააზიარა პოსტი, რომლის თანახმადაც, თუ საქართველო რუსეთთან ერთად ფორმატებში მონაწილეობაზე ოკუპაციის გამო უარის თქმას განაგრძობდა, მაშინ კავშირები უნდა შეეწყვიტა თურქეთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთანაც, რადგან მათ არა მხოლოდ მიიტაცეს საქართველოს ისტორიული ტერიტორიები, არამედ მათი ანექსირებაც მოახდინეს. თუ საქართველოს ისტორიული მიწების „ოკუპანტი“ თურქეთი, რომელმაც აჭარა „გაათურქა“, სტრატეგიულ პარტნიორად აღიქმებოდა, მაშინ რუსეთიც იმსახურებდა ამჟამინდელი აგრესიის პატიებას.
- პროსახელისუფლებო ექსპერტის, თამარ კიკნაძის მტკიცებით, დასავლეთი ისე ვერ დაიცავდა საქართველოს, როგორც ვერ იცავს უკრაინას. შესაბამისად, საქართველო რეგიონულ პლატფორმებს უნდა შეუერთდეს და დასავლეთისგან დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები მიიღოს.
- „ალტ-ინფოს“ ერთ-ერთმა წამყვანმა „ქართული ოცნება“ დაასახელა მიზეზად, რის გამოც საქართველო არ მონაწილეობს „3+3“ ფორმატში, რადგან მთავრობა „გამანადგურებელ პროდასავლურ კურსს მიჰყვება, რომელიც სოციოეკონომიკური გასაჭირით, ტერიტორიების დაკარგვითა და გაუარესებული დემოგრაფიული მდგომარეობით დასრულდა“.
- მორიგმა პრორუსულმა პროპაგანდისტმა აგრეთვე გაუსვა ხაზი იმას, რომ საქართველო ფორმატში მონაწილეობაზე უარს სწორედ დასავლეთის მონური მორჩილების გამო აცხადებს.





- „ალტ-ინფოს“ კიდევ ერთმა პროპაგანდისტმა გაიმეორა, რომ აშშ-ს გარკვეული ბერკეტები აქვს „ქართულ ოცნებაზე“ და მთავრობის გადაწყვეტილება, არ მიეღო მონაწილეობა „3+3“ ფორმატში ქვეყნის ინტერესებს ღალატობდა. მისი შეფასებით, საქართველო რეგიონში არა დამოუკიდებელი სახელმწიფო, არამედ აშშ-ს ინტერესების გამტარი გახდა.
- თანამედროვე საქართველოს ისტორიის გახსენების დროს, „ალტ-ინფოს“ მორიგმა წამყვანმა სრულიად უგულებელყო რუსეთის აგრესიული ქმედებები საქართველოს წინააღმდეგ, ხოლო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მომხდარი ომები საქართველოს მთავრობებსა და ანტირუსულ დამოკიდებულებებს დააბრალა. მისი თქმით, საქართველო რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე კონტროლის დაბრუნების ბოლო შანსსაც დაკარგავს, თუ ანტირუსულ პოზიციებს არ დათმობს.
- „ალტ-ინფოს“ გადაცემის ერთ-ერთი სტუმარი ირწმუნებოდა, რომ რუსეთთან ახლო ურთიერთობების არარსებობის შემთხვევაში საქართველო ვერ შეძლებდა პროგრესირებას. მიუხედავად მოსკოვთან ურთიერთობის აღდგენისთვის ქართველი ხალხის ღიაობისა, აშშ საქართველოს რუსეთთან მტრული დამოკიდებულების შენარჩუნებას აიძულებს და უფლებასაც კი არ აძლევს, რეგიონულ პლატფორმებში მონაწილეობა მიიღოს.

პროპაგანდა უკრაინის პრეზიდენტის რეპუტაციის შელახვას ცდილობს; ამბობს, რომ დასავლეთმა უკრაინა მიატოვა.

- „სეზონი ტვ-ს“ წამყვანმა ნიკოლოზ მჟავანაძემ კვლავდაკვლავ სცადა უკრაინისა და მისი პრეზიდენტის, ვოლოდიმირ ზელენსკის დაკნინება. ჰამასის თავდასხმის შემდგომ ისრაელის მიერ ზელენსკის ვიზიტის უარყოფაზე კომენტარის გაკეთების დროს, მჟავანაძემ უკრაინის პრეზიდენტის ებრაულ წარმომავლობას გაუსვა ხაზი და განაცხადა, რომ „მისავე ხალხსაც კი აღარ უნდა ის“. პროპაგანდისტის თქმით, ზელენსკის მომავალი სააკაშვილისაზე უარესია. ქართველმა ხალხმა სამშობლო სააკაშვილის მოშორებით გადაარჩინა, რათა მისთვის ქვეყნის დაზიანების საშუალება არ მიეცათ, ზელენსკის ხელები კი უკრაინის განადგურების გამო უფრო მეტად იყო სისხლში გასვრილი.
- დიტო ჩუბინიძემ, მჟავანაძის გადაცემების ხშირმა სტუმარმა, აღნიშნა, რომ რუსეთი კვლავ განაგრძობს უკრაინის განადგურებას, თუმცა ქვეყნის მიტოვებაში მაინც დასავლეთი დაადანაშაულა. მიუხედავად დასავლეთის მიერ უკრაინის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დახმარებით მომარაგებისა, პროპაგანდისტის თქმით, დასავლეთი უკრაინაში საკუთარ ჯარს იმიტომ არ გზავნის, რომ საკმარისად არ ადარდებს ვითარება.
- „ალტ-ინფოს“ წამყვანი ჯაბა ჟვანია ირწმუნებოდა, რომ უკრაინა პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთი წარმატებული, რესურსებითა და ინდუსტრიებით მდიდარი ქვეყანა იყო, სანამ დასავლეთმა აიძულა, რუსეთთან ომი დაეწყო. პროპაგანდისტმა განაცხადა, რომ უკრაინას, ევროკავშირთან ახლო

გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად, დასავლეთი „ქვემეხის საკვებად“ იყენებს, შესაბამისად, ქვეყანას მდგომარეობის გაუმჯობესების შანსი აღარ აქვს.

- უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ გამოაშკარავა გეგმები, რომელთა თანახმადაც, რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთში რუსული ფლოტის ბაზირების პუნქტი გაიხსნებოდა და განაცხადა, რომ „უკრაინა მათ ყველგან მისწვდებოდა“. პრორუსულ გვერდ „საქინფორმის“ რედაქტორმა რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს ომში ჩათრევის მცდელობის გამო ზელენსკი გააკრიტიკა, თუ ეს უკანასკნელი საქართველოს ოკუპირებულ რეგიონში ბაზირებულ რუსულ სამხედრო ფლოტს ნამდვილად დაესხმებოდა თავს.
- მთავრობის მხარდაჭერის მიმღები არასამთავრობო ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“ ლიდერმა ნანა კაკაბაძემ გააკრიტიკა ზელენსკის კიდევ ერთი განცხადება, რომლითაც უკრაინის პრეზიდენტი ევროკავშირის პოტენციურ გაფართოებას გამოეხმაურა და აღნიშნა: „უკრაინის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება დადებით შედეგს ყველას მოუტანდა. რა თქმა უნდა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია მოლდოვისთვის, გრძელვადიან პერიოდში საქართველოსთვის და, დროთა განმავლობაში, უეჭველად, ბელარუსისთვისაც“. კაკაბაძემ ზელენსკი საქართველოსა და ბელარუსის ერთ კონტექსტში მოხსენიების გამო გააკრიტიკა და უკრაინის პრეზიდენტის უარყოფითი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ მიაწერა იმ ფაქტს, რომ სააკაშვილის საქართველოში გამოგზავნის, მმართველი პარტიის გადაგდებისა და მეორე ფრონტის გახსნის გეგმები ჩაეშალა.
- სოციალური მედიის ანგარიშზე გავრცელდა პოსტი, რომელსაც თან ერთვოდა 1914 წლის რუკა. ავტორმა გაიმეორა ნარატივი, რომლის თანახმადაც, უკრაინას, როგორც სახელმწიფოს, 1918 წლამდე არ უარსებია, სანამ ლენინმა და სტალინმა ის ხელოვნურად არ შექმნეს, შესაბამისად, უკრაინის ტერიტორიები სწორედ რუსეთს ეკუთვნის.